სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

99992136487020

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N200103494

რეგისტრაციის თარიღი

31.01.2020 წ

ნოტარიუსი: თამარ ბაქრაძე
მისამართი: ქ.თბილისი დ/დიღომი ი.პეტრიწის ქ. N 16
ტელეფონი: 591 701 115; 322 43 28 70;

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ოცი წლის ოცდათერთმეტ იანვარს მე, ნოტარიუს თამარ ბაქრაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დიდი დიღომი ი.პეტრიწის ქუჩა № 16 მომმართა **დავით გიორგობიანმა მან განაცხადა, რომ არის სს "ჰიუნდაი ავტო საქართველო"-ს (რეგისტრირებული 24/05/2005 წელს, ს/კ № 204478948)** პრეზიდენტი და სურს **ქეთევან ფანცულაიას** მიმართ მინდობილობის შედგენა და ამ მინდობილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით და დავადგინე, რომ მე ნამდვილად **დავით გიორგობიანმა (დაბ. 05.05.1965 წელს, თბილისი, პირადი № 01017000104, რეგ. მისამართზე: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №80, ბინა 52)** მომმართა. მე ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, შემდეგ შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მან წაიკითხა ეს მინდობილობა და მკაფიოდ განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **დავით გიორგობიანი, როგორც სს "ჰიუნდაი ავტო საქართველო"-ს (ს/კ № 204478948) პრეზიდენტი,** შემდგომში ამ მინდობილობაში წოდებული როგორც "მიმნდობი პირი", ამ მინდობილობით უფლებამოსილებას ვანიჭებ **ქეთევან ფანცულაიას (დაბადებული 01.01.979 წ. პირადი #010080102269)** შემდგომში – "მინდობილ პირს":

იყოს მიმნდობი პირის წარმოადგენელი მიმნდობი პირის კუთვნილი უძრავი ქონების მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ საკითხთან დაკავშირებით ქ. თბილისის მერიაში და მის სამსახურებში , სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტში, მათ შორის სსიპ არქიტექტურის და ზედამხედველობის სამსახურში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში , ტექ ბიუროს არქივში, მოახდინოს პროექტის შეთანხმება, მიიღოს ნებართვა, აზომვა, ახალი საკადასტრო გეგმის მომზადება, ხარვეზების შესწორება, პროექტების შეთანხმებისთვის და მშენებლობის ნებართვის მისაღებად შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, აწარმოოს მოლაპარაკებები ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან. ამასთან დაკავშირებით შეაგროვოს ყველა სახის დოკუმენტაციები, მიიღოს წარადგინოს ისინი, ჩემი სახელით შეიტანოს განცხადებები, მიიღის ინფორმაცია, მიიღოს გადაწყვეტილებ, ატვირთოს მერიის ელექტრონულ საიტზე არსებული დოკუმენტაცია, განახორციელოს კორექტირება, ხელი მოაწეროს დოკუმენტებს, მიიღოს ნებისმიერი სახის დოკუმენტები/ცნობები/გადაწყვეტილება/პროექტები/შეთანხმებები/ნებართვები, აგრეთვე ჩაატაროს ყველა ის ოპერაცია, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს თამარ ბაქრაძის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობ პირს.

მინდობილობა გაცემულია ექვის თვის ვადით.

მინდობილობა შეიძლება ვადამდე შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინებით, რისთვისაც საჭიროა ამ გარიგების სანოტარო წესით გაუქმება.

ამ მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში თან ერთვის:

სს "ჰიუნდაი ავტო საქართველო"-ს ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილების № 507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლისა - 10 (ათი) ლარი: დღგ 1.80 (ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, ასევე ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების საფასური 2.00 (ორი) ლარი, თანახმად ზემოთ მითითებული დადგენილების 39-ე მუხლისა.

ნოტარიუსი: /თამარ ბაქრაძე/